

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	11
2. მომზადების საფუძველი.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	26
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	27
6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება.....	27
7. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები.....	33
8. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები.....	33
9. გადასახადები.....	33
10. ძირითადი საშუალებები.....	34
11. სხვა აქტივები.....	34
12. სასესხო კრედიტორული დავალიანება.....	35
13. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.....	35
14. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	36
15. საკუთარი კაპიტალი.....	36
16. სხვა შემოსავალი.....	37
17. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	37
18. ფინანსური რისკის მართვა.....	38
19. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი.....	43
20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	44
21. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.....	45
22. წილობრივი გადახდა.....	47
23. საინვესტიციო ქონება.....	48
24. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	48

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მონაწილეს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



Building a better working world

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ, თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

რამდენად ითვალისწინება ჩვენი აუდიტი მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფასს (IFRS) 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) საფუძველზე

ჯგუფის ფინანსური პოზიციისთვის ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების რეზერვის მნიშვნელობიდან, ახლად მიღებული ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული კომპლექსურობიდან და მსჯელობებიდან გამომდინარე, ჩვენ ეს სფერო აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად მივიჩნიეთ.

მსჯელობის მნიშვნელოვანი სფეროები მოიცავდა შემდეგს:

- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებელი მოდელის ასაგებად გამოყენებული საადრიცხვო ინტერპრეტაციები და მოდელირებასთან დაკავშირებული დაშვებები;
- ▶ იჯარების პირველი, მეორე და მესამე ეტაპებზე გადანაწილება, ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად განსაზღვრული კრიტერიუმების გამოყენებით;
- ▶ სხვადასხვა ეკონომიკური სცენარების გავლენის შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები;
- ▶ დეფოლტის ალბათობის (PD) შეფასება, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დაუფარავი დავალიანება დეფოლტის მომენტისთვის (EAD), უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით; და
- ▶ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების შეფასება.

ჩვენ შევისწავლეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცესი და ჩვენი შიდა მოდელირების სპეციალისტების მხარდაჭერით, შევაფასეთ ჯგუფის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია.

აუდიტის განმავლობაში, ძირითადად, შემდეგი საკითხები გავაანალიზეთ:

- ▶ საკრედიტო რისკის მოდელის და მნიშვნელოვანი პარამეტრების ინიციალიზაციის შეფასებაში გამოყენებული დაშვებებს შევასება და განვსაზღვრეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პორტფელის საფუძველზე;
- ▶ ხელმძღვანელობის მსჯელობის შეფასება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად ზრდის იდენტიფიკაციასთან მიმართებაში, თვისებრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური იჯარების გაუფასურების შესაბამის ეტაპებზე გადანაწილების შემოწმება, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე.

კოლექტიურ საფუძველზე დაანგარიშებული რეზერვის შესამოწმებლად, ჩვენი შიდა მოდელირების სპეციალისტების მხარდაჭერით შევაფასეთ საბაზისო სტატისტიკური მოდელირების მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები და გამოყენებული დაშვებები, ასევე შევაფასეთ საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში და გადავიანგარიშეთ გაუფასურების ანარიცხები ნიმუშების საფუძველზე.



Building a better working world

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი

რეზერვის დადგენაში გამოყენებული მსჯელობის შედეგად, სხვადასხვა მოდელირების ტექნიკის, დაშვებისა და პროგნოზის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მნიშვნელოვნად განსხვავებული შეფასებები.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია შესულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-6 შენიშვნაში, *ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება* და მე-18 შენიშვნაში, რისკების მართვა.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შეფასება

ჯგუფის საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები შეადგენდა 21,468,123 ლარს, მე-7 შენიშვნის შესაბამისად, *საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები*, რომლებიც წარმოადგენს უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას. ჯგუფი ამ აქტივებს აფასებს თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი შემფასებელი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის. შეფასებას ახასიათებს გაურკვეველობა, ის განსჯის საგანია და საჭიროებს პროცესს ექვემდებარება.

ამ შეფასებების მნიშვნელობა და დასაბუთებულობა და ისეთი დასაკუთრებული აქტივების ანაზღაურებადობა, რომლებსაც ჯგუფი არ ფლობს ფიზიკურად და ძნელადრეალიზებადი ერთეულების ანარიცხების სათანადო დონის შეფასებაში ჩართული მნიშვნელოვანი მსჯელობები საიჯარო მიზნით ფლობილი აქტივის შეფასებას აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად აქცევს.

ჯგუფის განმარტებები საიჯაროდ ფლობილ აქტივებთან დაკავშირებით წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-7 შენიშვნაში საიჯარო მიზნით ფლობილი აქტივები.

რამდენად ითვალისწინებდა ჩვენი აუდიტი მნიშვნელოვან აუდიტორულ საკითხებს

ჩვენ ასევე ჩავატარეთ პროცედურები, რომლებიც მოიცავდა ჯგუფის კონტროლების და ძირითადი ტესტირების შეფასებას და ვალიდაციას, საკრედიტო მოდელში მონაცემების დენადობის დადასტურების, პროცესის განმავლობაში გამოყენებული მონაცემების მთლიანობის და წყაროებს/სისტემებს შორის თანმიმდევრულობის შემოწმების მიზნით.

ჩვენ ასევე შევამოწმეთ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების გაუფასურებასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.

საიჯაროდ ფლობილი აქტივების შეფასებასთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები მოიცავდა შემდეგს:

- ▶ ჩვენ მივიღეთ და შევამოწმეთ ჯგუფის მიერ დაქირავებული გარე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიში. ჩვენ შევამოწმეთ შეფასების მეთოდი და შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები შერჩევით საფუძველზე, ბაზრის შედარებადი გარიგებების მტკიცებულებებზე და სხვა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენი საკუთარი შემფასებელი სპეციალისტების დახმარებით.
- ▶ შევამოწმეთ საიჯარო მიზნით ფლობილი ძნელადრეალიზებადი აქტივების ანარიცხები დასაკუთრებული აქტივების ისტორიული ღირებულების ანალიზის და მომავალი გაყიდვის ხელმძღვანელობისეულ შეფასებასთან მისი შედარების გზით.
- ▶ ჩვენ ასევე შევამოწმეთ აქტივების დასაკუთრების ციკლი და უზრუნველყოფით, რომ აქტივების უმრავლესობა, რომლებიც ფიზიკური დასაკუთრების პროცესში არიან, უზრუნველყოფილია და დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.



**Building a better
working world**

კომპანიის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ჯგუფის 2019 წლის ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2019 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და პარტნიორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

პარტნიორი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.



Building a better
working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგვეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.



**Building a better
working world**

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ▶ პარტნიორს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკლენთ.

ამასთანავე, პარტნიორს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

პარტნიორისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის გასაჯაროება, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამ გზით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამგვარი ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

ო. ვ. იუშენკოვი

შპს „იუაის“ სახელით

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2019	2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	21,280,992	3,541,548
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	5	-	2,793,791
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	6	130,359,456	88,081,479
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	7	21,468,123	11,114,733
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	8	13,820,350	6,111,981
ძირითადი საშუალებები	10	1,251,015	749,676
საინვესტიციო ქონება	23	-	2,754,221
სხვა აქტივები	11	1,368,869	1,550,813
სულ აქტივები		189,548,805	116,698,242
ვალდებულებები			
სასესხო კრედიტორული დავალიანება	12	86,170,329	55,291,502
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13	72,538,704	36,940,653
საიჯარო ვალდებულება		736,253	-
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		3,556,288	2,605,947
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	9	-	53,856
საგადასახადო კრედიტორული დავალიანება	9	-	63,293
სხვა ვალდებულებები		2,050,026	1,097,926
სულ ვალდებულებები		165,051,600	96,053,177
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,180,000	3,180,000
დამატებით შეტანილი კაპიტალი		15,188,227	15,030,247
აკუმულირებული ზარალი		6,581,153	2,713,739
სხვა რეზერვი		(452,175)	(278,921)
სულ კაპიტალი	15	24,497,205	20,645,065
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		189,548,805	116,698,242

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ივნისს:

ელდარ ახვლედიანი

გენერალური დირექტორი

ნესტან მიქელაძე

ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით			
განგარიშებული საპროცენტო შემოსავალი			
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან		27,439,021	16,001,415
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		283,004	118,872
საპროცენტო ხარჯი			
საიჯარო ვალდებულება		(63,489)	-
სასესხო კრედიტორული დავალიანება		(6,143,425)	(2,504,925)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(3,995,146)	(2,260,838)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		17,519,965	11,354,524
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საპროცენტო			
სარგებლის მქონე აქტივებზე	6	(1,594,846)	(932,359)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სხვა აქტივებისთვის	5, 11	(90,631)	(96,982)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი აქტივებზე		15,834,488	10,325,183
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ			
შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ			
დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული ჯარიმებიდან	6	2,058,800	982,874
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან		-	84,383
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების			
გადაფასებიდან	23	-	18,546
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან		(532,401)	(555,747)
სხვა შემოსავალი	16	1,074,881	947,406
საოპერაციო შემოსავალი		18,435,768	11,802,645
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(11,053,514)	(7,099,809)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,609,897)	(1,855,099)
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა		(883,270)	(464,227)
საოპერაციო ხარჯები		(14,546,681)	(9,419,135)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		3,889,087	2,383,510
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(21,673)	(53,856)
წლის წმინდა მოგება		3,867,414	2,329,654
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე			
მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება			
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე			
რეალიზებული შემოსულობის რეკლასიფიკაცია მოგებაში			
ან ზარალში		-	-
წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,867,414	2,329,654

11-48 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	სხვა რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	3,180,000	14,895,035	(132,540)	384,085	18,326,580
წმინდა ზარალი წლის განმავლობაში	-	-	-	2,329,654	2,329,654
შენატანები წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (22-ე შენიშვნა)	-	-	(146,381)	-	(146,381)
წილობრივი გადახდები (22-ე შენიშვნა)	-	135,212	-	-	135,212
2018 წლის 31 დეკემბერი	3,180,000	15,030,247	(278,921)	2,713,739	20,645,065
წლის წმინდა მოგება	-	-	-	3,867,414	3,867,414
შენატანები წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (22-ე შენიშვნა)	-	-	(173,254)	-	(173,254)
წილობრივი გადახდები (22-ე შენიშვნა)	-	157,980	-	-	157,980
2019 წლის 31 დეკემბერი	3,180,000	15,188,227	(452,175)	6,581,153	24,497,205

11-48 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		25,138,884	14,849,766
სხვა მიღებული შემოსავალი		3,263,166	2,135,187
გადახდილი პროცენტი		(8,778,518)	(4,463,980)
გადახდილი სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(10,594,742)	(6,736,360)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(2,543,677)	(1,799,048)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		6,485,113	3,985,565
<i>საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება</i>			
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		(50,912,394)	(43,466,754)
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები		2,573,082	1,503,545
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები		(7,729,849)	214,791
სხვა აქტივები		406,255	(877,035)
<i>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)</i>			
კლიენტებისგან მიღებული ავანსები		868,848	1,378,426
დღგ და სხვა საგადასახადო კრედიტორული დავალიანება		(996,021)	(286,748)
სხვა ვალდებულებები		639,883	112,677
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(48,665,083)	(37,435,534)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(293,969)	(467,611)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(79,950)	(146,884)
საინვესტიციო ქონების გაყიდვა		3,249,981	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		2,876,062	(614,495)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
შეზღუდული წვდომის ფულადი ნაკადების წმინდა მოძრაობა	5	2,793,791	(2,793,791)
საიჯარო ვალდებულება		(344,772)	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		32,409,020	8,967,898
ნასესხები სახსრების დაფარვა		(63,018,934)	(17,357,517)
ნასესხები სახსრების მიღება		91,694,673	51,302,540
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		63,533,778	40,119,130
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(5,313)	294,406
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		17,739,444	2,363,507
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	3,541,548	1,178,041
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო	5	21,280,992	3,541,548

11-48 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“ ან „GLC“) 2001 წლის 29 ოქტომბერს საქართველოში დაფუძნდა (საიდენტიფიკაციო ნომერი 204972155). მისი ძირითადი საქმიანობაა საქართველოში იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის ფინანსური იჯარის მომსახურების გაწევა. 2015 წლის 31 აპრილს ჯგუფმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისგან – სს „პრიატ ბანკი საქართველოსგან“ 2,000 ლარად შეისყიდა შპს „პრაიმ ლიზინგის“ აქციების 100%-იანი წილი.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სალიზინგო კომპანიას და მის შვილობილ კომპანიას (შემდგომში ერთობლივად – „ჯგუფი“) ერთპიროვნულად ფლობს სს „საქართველოს ბანკი“ (2016 წ.: სს „ბიჯი ფაინანშიალი“). 2017 წლის ივლისში სს „საქართველოს ბანკმა“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“) შეისყიდა აქციების 100%-იანი წილი საქართველოს სალიზინგო კომპანიაში სს „ბიჯი ფაინანშიალისგან“. სს „საქართველოს ბანკს“, თავის მხრივ, ერთპიროვნულად ფლობს სს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“. ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანია და მკონტროლებელი მხარე 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, რომლის აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა კომპანიის მშობელი კომპანიის მიერ. მშობელ კომპანიას უფლება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს გამოშვების შემდეგ.

ჯგუფის იურიდიული მისამართია ტატიშვილის ქ. 3/5, თბილისი, საქართველო.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი შედგება კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიისგან – შპს „პრაიმ ლიზინგი“, რომელსაც ერთპიროვნულად ფლობს და რომელიც საიჯარო მომსახურებას საქართველოში სწევს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

ჯგუფი ორგანიზებულია ერთ საოპერაციო სეგმენტად, რომელიც ფინანსური იჯარის მომსახურებას სწევს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებებმა მის მიმდინარე აქტივებს 3,937,214 ლარით გადააჭარბა. ლიკვიდურობასთან დაკავშირებული საკითხების შემსუბუქების მიზნით, ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა სტრესული ვითარების სცენარი, რომელიც ფარავს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე უფლებამოსილების გაცემის თარიღიდან 12-თვიან პერიოდს. სტრესულ სცენართან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დაშვებები მოიცავდა შემდეგს:

- ▶ საიჯარო ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვის კლებას, რესტრუქტურისაციის და საშეღავათო პერიოდების გათვალისწინებით;
- ▶ არსებულ სესხებზე გადახედილი რეფინანსირებები.

(თანხები მოცემულია ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ჯგუფი ინტენსიურად მუშაობს კრედიტორებთან ახალი დაფინანსების მიღების და არსებული საკრედიტო ხაზების პირობების გადახედვის მიზნით. 2020 წლის იანვარ-მარტში, ჯგუფმა ადგილობრივი ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ახალი სესხები აიღო 35,582,00 ლარის ოდენობით და შეათანხმა 2020 წლისთვის ვადადამდგარი გადახდების რესტრუქტურირაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 27,946,000 ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე სესხებთან მიმართებაში. ჯგუფი რამდენიმე სხვა კრედიტორთან კომუნიკაციის მოწინავე ეტაპზე იმყოფება, 2020 წლის გადახდების უფრო გვიანი პერიოდებისთვის გადატანასთან დაკავშირებით.

ჯგუფმა მხარდამჭერი წერილი მიიღო საქართველოს ბანკისგან („მშობელი კომპანია“) 2020 წლის 26 ივნისს, რომელშიც განსაზღვრული იყო, რომ მშობელ კომპანიას განზრახული აქვს მხარდაჭერა გაუწიოს ჯგუფის ოპერაციებს უახლოეს მომავალში, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში მას ფინანსებიც გამოუყოს. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, მშობელი კომპანია ფლობს შესაბამისი ოდენობით რესურსებს საჭიროების შემთხვევაში კომპანიისთვის ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად.

ხელმძღვანელობის აზრით ზემოაღნიშნული ინიციატივების ერთობლიობა ჯგუფს უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა 2020 წლის შემდეგაც გააგრძელოს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ფასს (IFRS) 16 – „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“; ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და მოიჯარისგან მოითხოვს იჯარების უმეტესობის აღრიცხვას ერთი საბალანსო უწყისის მოდელის ფარგლებში.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს (IFRS) 16-ს გავლენა არ ჰქონია იმ იჯარებზე, რომელშიც ჯგუფი მეიჯარეა.

ჯგუფმა მიიღო ფასს (IFRS) 16, მიღების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. ამ მეთოდის საფუძველზე, სტანდარტი რეტროსპექტულად გამოიყენება თავდაპირველი გამოყენების თარიღში აღიარებული სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების კუმულაციური ეფექტით. ჯგუფმა გადაწყვიტა გადასვლის პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება, რაც სტანდარტის მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან გამოყენების საშუალებას იძლევა, რომლებიც თავდაპირველი გამოყენების თარიღში იჯარებად განისაზღვრა ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით. ჯგუფმა ასევე გადაწყვიტა გამოყენებინა აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისები საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებსაც დაწყების თარიღში აქვთ 12 ან ნაკლები თვისანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას (მოკლევადიანი იჯარა). ფასს (IFRS) 16-ის მიღებით ჯგუფმა აღიარა საიჯარო ვალდებულებები იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო „საოპერაციო იჯარებად“, ბასს (IAS) 17 („იჯარა“) პრინციპების საფუძველზე. ეს ვალდებულებები შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. 2019 წლის 1 იანვარს საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში გამოყენებული საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი 6.50%-დან 11.30%-მდე დიაპაზონში იყო, იჯარის პირობებიდან გამომდინარე.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი შეფასდა სტანდარტზე გადასვლისას საიჯარო ვალდებულების ოდენობის თანხით, რომელიც დაკორექტირდა ნებისმიერი ავანსად გადახდილი თანხით, რომელიც აღიარდა უშუალოდ თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე. შედეგად, ჯგუფს არ უღიარებია სტანდარტზე გადასვლის ეფექტი მის გაუნაწილებელ მოგებაზე 2019 წლის 1 იანვარს.

ფასს (IFRS) 16-ის მიღების ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგი ოდენობით იზრდება:

აქტივები	
ძირითადი საშუალებები	1,023,169
სულ აქტივები	1,023,169
ვალდებულებები	
საიჯარო ვალდებულება	1,023,169
სულ ვალდებულებები	1,023,169

(ა) ფასს (IFRS) 16-ის მიღების ეფექტის ხასიათი

იჯარები ადრე აღირიცხა ჩვეულებრივ იჯარებად

ჯგუფმა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები აღიარა ადრე ჩვეულებრივ იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები იჯარების უმეტესობისთვის აღიარდა საბალანსო ღირებულების საფუძველზე, ისე, თითქოს სტანდარტი ყოველთვის გამოიყენებოდა, თავდაპირველი გამოყენების თარიღში ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებისგან განკალკვებით. საიჯარო ვალდებულება აღიარდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, თავდაპირველი აღიარების თარიღში ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირების გზით.

ჯგუფი ასევე იყენებდა ხელმისაწვდომ პრაქტიკულ მიდგომას სადაც ის:

- ▶ იჯარების პორტფელთან მიმართებაში იყენებს ფასდაკლების ერთ განაკვეთს, გონივრულ ფარგლებში მსგავსი მახასიათებლებით;
- ▶ ეყრდნობოდა იმის შეფასებას, არის თუ არა იჯარები შეზღუდული თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე;
- ▶ იყენებდა მოკლევადიანი იჯარების გამონაკლისებს იმ იჯარებთან, რომელთა საიჯარო ვადა თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვეში სრულდება;
- ▶ გამორიცხავდა თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის შეფასებისას, თავდაპირველი გამოყენების თარიღში;
- ▶ იყენებდა რეტროსპექტიულ მიდგომას იჯარის ვადის განსაზღვრაში, რომელშიც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის შესაძლებლობებს.

(ბ) ახალი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ახალი სააღრიცხვო პოლიტიკები, ფასს (IFRS) 16-ის მიღებისას, რომლებიც თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან გამოიყენებოდა:

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

ჯგუფი აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. სანამ ჯგუფს არ ექნება გონივრული რწმენა იმისა, რომ ის მიიღებს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ, აღიარებული გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ამორტიზირდება წრფივი დარიცხვის მეთოდით, მის მოსალოდნელ სასარგებლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები გაუფასურებას ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზე დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, იმ შემთხვევაში, თუ იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება – განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, აქტივების კონკრეტულ იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

მნიშვნელოვანი მსჯელობა ხელშეკრულებების საიჯარო ვადის განსაზღვრაში განახლების თვისებით

ჯგუფი განსაზღვრავს საიჯარო ვადას იჯარის შეუქცევადი ვადის სახით, ნებისმიერ სხვა პერიოდთან ერთად, რომელზეც ვრცელდება იჯარის გახანგრძლივების ფუნქცია, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ამგვარი ფუნქციით ისარგებლებენ, ან ნებისმიერი პერიოდთან ერთად, რომელზეც ვრცელდება იჯარის შეწყვეტის ფუნქცია, თუ მისი გამოყენების გონივრული რწმენა არ არსებობს.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

რამდენიმე იჯარის ფარგლებში, ჯგუფს შეუძლია იჯარით აიღოს აქტივები დამატებითი – სამიდან ხუთ წლამდე ვადით. იმის შეფასებაში, არსებობს თუ არა გონივრული რწმენა იმისა, რომ ორგანიზაცია ისარგებლებს იჯარის განახლების შესაძლებლობით, ჯგუფი მსჯელობას ეყრდნობა. ე.ი. იჯარის განახლებისთვის ის განიხილავს ყველა შესაძლებელ ფაქტორს, რომელიც მისთვის ეკონომიკურ სარგებელს წარმოქმნის. ხელშეკრულების დაწყების თარიღის შემდეგ, ჯგუფი განმეორებით აფასებს იჯარის ვადას იმის გადასამოწმებლად, ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ცვლილება ვითარებებში, რომელიც მისი კონტროლის ფარგლებში ან მოქმედებს მის მიერ იჯარის განახლების შესაძლებლობით სარგებლობის (ან არ სარგებლობის) უნარზე (მაგ. ბიზნეს სტრატეგიის ცვლილება).

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	<i>აქტივების გამოყენების უფლება შენიშვნები</i>	<i>საიჯარო ვალდებულება</i>
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,023,169	1,023,169
შესყიდვები	–	–
ცვითის ხარჯი	(337,535)	–
საპროცენტო ხარჯი	–	63,489
გადახდები	–	(404,926)
FX ეფექტი	–	54,522
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	685,634	736,253

ჯგუფი აღიარებს საიჯარო ხარჯს მოკლევადიანი იჯარებიდან 329,366 ლარის ოდენობით და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებს 28,019 ლარის ოდენობით, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ჯგუფის მთლიანი ფულადი ნაკადები იჯარებზე 762,311 ლარის ოდენობით 2019 წელს (2018 წ.: 326,019 ლარი).

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვეველობა“

ეს ინტერპრეტაციები ეხება მოგებიდან გადასახადების აღრიცხვას, როცა საგადასახადო ოპერაციები მოიცავს ისეთ გაურკვეველობებს, რომლებიც ბასს (IAS) 12-ის (მოგებიდან გადასახადები) გამოყენებაზე მოქმედებს. იგი არ ვრცელდება ბასს (IAS) 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვეველობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად შემდეგს ეხება:

- ▶ საწარმო ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- ▶ დაშვებები, რომლებსაც საწარმო აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- ▶ როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- ▶ როგორ განიხილავს საწარმო ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ჯგუფი ადგენს, ცალკე უნდა განსაზღვროს მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა თუ ერთ ან სხვა გამოთვლის მიდგომასთან ერთად, რომელიც გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად პროგნოზირებას უზრუნველყოფს.

ჯგუფი მნიშვნელოვან მსჯელობას იყენებს მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამოსავლენად. ვინაიდან ჯგუფი რთულ გარემოში ფუნქციონირებს, მან შეაფასა, ამგვარ ინტერპრეტაციებს ჰქონდა თუ არა გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ ინტერპრეტაციის მიღებისთანავე ჯგუფი განსაზღვრავს ფლობს თუ არა ის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ ჰქონია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“

ცვლილებების მიხედვით, მოგების გადასახადის გავლენა დივიდენდებზე უფრო პირდაპირ უკავშირდება წარსულში მომხდარ გარიგებებს ან მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგება, და არა მფლობელებზე განაწილებებს. შესაბამისად, საწარმო აღიარებს მოგების გადასახადის გავლენას დივიდენდებზე მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან საკუთარ კაპიტალში იმისდა მიხედვით, თუ სად აღიარა მან თავდაპირველად ეს წარსულში მომხდარი გარიგებები ან მოვლენები.

საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენებაც. როდესაც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს, მან ისინი უნდა გამოიყენოს უადრესი შედარებადი პერიოდის დასაწყისიდან აღიარებულ დივიდენდებზე მოგების გადასახადის გავლენის აღრიცხვისას.

ვინაიდან ჯგუფის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ამ ცვლილებებს, მათ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენიათ.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელმწიფო გარიგებებს;
- ▶ სხვა სახელმწიფო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

შვილობილი კომპანია კონსოლიდირდება ჯგუფის კონტროლის უფლების წარმოშობიდან და აღარ გააჩნია აღნიშნული სტატუსი კონტროლის შეწყვეტისას. ჯგუფის ყველა შიდა გარიგების, მის შვილობილ კომპანიებს შორის არსებული ნაშთისა და არარეალიზებული შემოსულობის სრულად გაქვითვა ხდება, ასევე ხდება არარეალიზებული დანაკარგების გაქვითვაც, თუ გარიგება არ წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. ზარალი მიეწერება არასაკონტროლო პაკეტს მაშინაც კი, თუ ეს ბალანსის დეფიციტს იწვევს.

თუ ჯგუფი შვილობილ კომპანიაზე კონტროლს დაკარგავს, იგი წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების, ნებისმიერი არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულების, კუმულაციური საკურსო სხვაობების აღიარებას, რაც კაპიტალში აღირიცხება, აღიარებს მიღებული საზღაურის, ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებასა და მოგებაში ან ზარალში ნებისმიერ ნამეტს თუ დეფიციტს და ახდენს მშობელი კომპანიის კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას სხვა სრული შემოსავლიდან კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან სალაროში და მიმდინარე ანგარიშებისგან.

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვა აღიარდება გარიგების თარიღში, ე.ი. იმ დღეს, როდესაც ჯგუფი იკისრებს აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულებას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, გარიგების დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ახდენს მისი ყველა ფინანსური აქტივის კლასიფიცირებას, აქტივების და აქტივის სახელშეკრულებო ვადების სამართავი ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, რომელიც ფასდება ქვემოთ მოცემულიდან ერთერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფმა შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტი სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური თავდებობებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან ფლობილი, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრება.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება

ჯგუფი თავის ბიზნეს-მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესად ასახავს როგორ მართავს ის ფინანსურ აქტივებს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ჯგუფის ბიზნეს მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელის უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ემპირიული ფაქტორების საფუძველზე, როგორც არის შემდეგი:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ჯგუფის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნეს-მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, 'ყველაზე ცუდი' და 'სტრესული შემთხვევის' სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება ჯგუფის თავდაპირველი მოლოდინებისგან, ჯგუფი არ ცვლის ამგვარ ბიზნეს-მოდელში წარმოადგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შეძენილი ფინანსური აქტივების შეფასებას.

SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ჯგუფი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს პრემიის/ფასდაკლების გადახდის მნიშვნელოვან აღიარებას).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ჯგუფი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

შედარებისთვის, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მინიმუმზე მეტ დაქვემდებარებას ან ისეთი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში არასტაბილურობა, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სასესხო გარიგებებს, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია

ჯგუფი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ისეთი გამონაკლისი შემთხვევების გამოკლებით, რომელშიც ჯგუფი შეცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელს. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არასოდეს ხდება.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება და ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

იჯარის დასაწყისად ითვლება საიჯარო ხელშეკრულების თარიღსა და მხარეთა მიერ იჯარის ძირითადი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი. ამ თარიღისთვის:

- ▶ იჯარა შესულია ფინანსური იჯარის კატეგორიაში; და
- ▶ განსაზღვრულია იჯარის ვადის დაწყებისას ასაღიარებელი თანხები.

იჯარა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც მოიჯარეს ეძლევა იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება. ეს არის იჯარის პირველადი აღიარების (ანუ, საჭიროების შემთხვევაში, აქტივების, ვალდებულებების, იჯარიდან მიღებული შემოსავლების ან ხარჯების აღიარების) თარიღი.

ფინანსური იჯარის გაფორმებისას ჯგუფი აღიარებს იჯარებში წმინდა ინვესტიციას, რაც წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მისაღებ მინიმალურ საიჯარო გადასახდელს. სხვაობა მთლიან ინვესტიციასა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის აღირიცხება ფინანსური იჯარის გამოუმუშავებელ შემოსავალში.

ფინანსური იჯარის შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ წმინდა ინვესტიციაზე. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების პირველად შეფასებაში.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირაცია

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების რესტრუქტურირაციას ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და ფინანსურ იჯარაზე დებიტორული დავალიანების ახალი პირობების შეთანხმებას.

რესტრუქტურირაციის ბუღალტრული აღრიცხვა შემდეგნაირად ხორციელდება:

- ▶ თუ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების ვალუტა შეიცვლება, ძველი მოთხოვნების აღიარება შეწყდება და აღიარდება ახალი მოთხოვნები იჯარაზე;
- ▶ თუ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების რესტრუქტურირაცია არ უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს, ჯგუფი იმავე მიდგომას მიმართავს, როგორცაა ქვემოთ აღწერილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში;
- ▶ თუ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების რესტრუქტურირაცია უკავშირდება მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებს და იჯარა გაუფასურებულია რესტრუქტურირაციის შემდეგ, ჯგუფი აღიარებს სხვაობას ახალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) და საბალანსო ღირებულებას შორის რესტრუქტურირებამდე, როგორც მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯს. იმ შემთხვევაში, თუ იჯარა არ არის გაუფასურებული რესტრუქტურირაციის შემდეგ, ჯგუფი ხელახლა ითვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიცაცია აღიარდება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

ჩამოწერები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან – მთლიანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი შეწყვეტს აღდგენის განხორციელებას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღიარდება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ჯგუფს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს სასესხო კრედიტორულ დავალიანებას და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება (მე-9 შენიშვნა). მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხვითი საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია საოფისე შენობით, რომლის ფლობის მიზანიც საიჯარო შემოსავლის მიღებაა. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმოკრედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როგორც საიჯარო შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (საწესდებო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის მონაწილის გადაწყვეტილების საფუძველზე. სააქციო კაპიტალის აღიარება საწესდებო კაპიტალად ჯგუფის საკუთარ კაპიტალში ხდება მაშინ, როდესაც მისი შეტანა ხორციელდება ჯგუფის მონაწილის მიერ.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივებს წარმოადგენს ის აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს აქტივის შესყიდვიდან იჯარის ვადის დაწყებისას მოიჯარისთვის მის გადაცემამდე ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებული აქტივები, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება, და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებული აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მათ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები (გაგრძელება)

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების თვითღირებულება მოიცავს შემდეგს:

- ▶ აქტივის შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები და მასთან დაკავშირებული სხვა კაპიტალიზებული დანახარჯები, რომლებიც ჯგუფმა გასწია მოიჯარისთვის გადაცემამდე, შესყიდული აქტივების შეთხვევაში;
- ▶ დასაკუთრებული აქტივების შემთხვევაში, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების უიმედოდ კლასიფიცირების თარიღით გადახდილი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი ყველა დასაკუთრებული აქტივის აღიარება ხდება ჯგუფისთვის მათზე იურიდიული უფლების გადაცემისთანავე. ხელმძღვანელობა ეყრდნობა განსჯას იმის განსაზღვრისთვის, იურიდიულად დასაკუთრებული აქტივი უნდა ჩამოიწეროს მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე, თუ არა, მის ფიზიკურ დასაკუთრებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო. ხელმძღვანელობა სათითაოდ აანალიზებს დასაკუთრებულ აქტივებს და ჩამოწერს აქტივებს, რომელთა ფიზიკური დასაკუთრება მოსალოდნელი არ არის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებასა და გასაყიდად გამიზნულ საინვესტიციო ფასიან ქალაქებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსთვის. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ჯგუფმა უნდა შეძლოს მთავარ ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლისა და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ჯგუფი ანგარიშობს საპროცენტო შემოსავალს სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოღებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. განაგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ჯგუფი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ჯგუფი საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ჯგუფი დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები, წილობრივი ანაზღაურება და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

თანამშრომლებისთვის აქციების გადაცემის სქემა

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

ჯგუფის გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე იღებენ წილობრივ ანაზღაურებას, ჯგუფის საბოლოო მშობელი კომპანიის – „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ წილობრივი ინსტრუმენტების სახით. წილობრივ უფლებებს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ ანიჭებს.

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ხარჯი ვასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ღირებულების აღიარება, კაპიტალში დამატებითი შენატანების შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში “უფლების გადაცემის თარიღი”). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც ჯგუფის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. ჯგუფის თანამშრომლებისთვის გაცემული აქციებისთვის მშობელ კომპანიასთან ანგარიშსწორება აღირიცხება უარყოფითი სხვა რეზერვების სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ყველა კლასის ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით სამწლიან ვადაზე.

აქტივების ცვეთა ხდება მათი ექსპლუატაციაში მიღების თვიდან. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაინიშნება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

(თანხები მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო და წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც “ჯგუფის” სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსებით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა (ზარალი).

ქვემოთ მოცემულია სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>2019 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>
ლარი / აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი / 1 ევრო	3.2095	3.0701

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე, რასაც, დღევანდელი გადასახედიდან, არსებითი გავლენა არ ექნება ფინანსურ ანგარიშგებებზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „საწარმოს განმარტება“;
- ▶ ბასს (IAS) 1 და ბასს (IAS) 8-ის ცვლილება „ტერმინის „არსებითის“ განმარტება“;
- ▶ საპროცენტო განაკვეთის მაჩვენებლის რეფორმა: ცვლილებები ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39-სა და ფასს (IFRS) 7-ში.

ცვლილებები ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ საწარმოებმა შესაძლოა მათი ვადაზე ადრე გამოყენება გადაწყვიტონ. მოსალოდნელი არ არის, რომ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(თანხები მოცემულია ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ჯგუფის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიასთან მიმართებაში, საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ჯგუფის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ჯგუფი კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და უნდა შეფასდეს თუ არა რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთი ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის ასოციაციების განსაზღვრა, როგორც არის მშპ-ს ზრდა, ინფლაციის განაკვეთი და სავალუტო კურსი და დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა;
- ▶ მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სცენარების შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შეფასება

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესის განსაზღვრისთვის, წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განსაზღვრავს დამოუკიდებელი შემფასებელი. გამოყენებული მეთოდი ასახავს საბაზრო მიდგომას, რომელიც ეყრდნობა განსახილველი აქტივების შედარებას ბაზარზე გასაყიდ შესაძარის აქტივებთან.

საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები წარმოადგენს უიმედო მოიჯარეებისგან დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც შემდგომ იჯარას ან გაყიდვას ექვემდებარება და უიმედო მოიჯარეებისგან იურიდიულად დასაკუთრებულ აქტივებს, რომლებიც ექვემდებარება ფიზიკურ დასაკუთრებას. აქტივების უმრავლესობა, რომლებიც ფიზიკური დასაკუთრების პროცესში არიან, უზრუნველყოფილია და დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ჯგუფი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში, ხოლო შესაბამისი შემოსავალი დაზღვევიდან წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

(თანხები მოცემულია ლარში)

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა შემდეგს:

	2019	2018
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	48	164
მიმდინარე ანგარიშები მშობელ კომპანიაში	8,692,304	3,540,825
მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებში	12,603,928	4,611
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(15,288)	(4,052)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,280,992	3,541,548

ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი პირველ ეტაპს განეკუთვნება.

2018 წელს შეზღუდული წვდომის დეპოზიტები მოიცავს 2,793,791 ლარის ოდენობის ფულად სახსრებს, რომლებიც განთავსებულია საგარანტიო დეპოზიტის სახით ადგილობრივ ბანკებში, თორმეტ თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით.

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება

	1 წლის განმავლობაში 2019 წ.	ერთიდან ხუთ წლამდე ვადით 2019 წ.	სულ 2019 წ.
მინიმალური მისაღები საიჯარო გადასახდელები	73,061,112	112,509,178	185,570,290
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური იჯარის შემოსავალი	(7,651,997)	(45,143,715)	(52,795,712)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	65,409,115	67,365,463	132,774,578
გამოკლებული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,338,195)	(1,076,927)	(2,415,122)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება, წმინდა	64,070,920	66,288,536	130,359,456

	1 წლის განმავლობაში 2018 წ.	ერთიდან ხუთ წლამდე ვადით 2018 წ.	სულ 2018 წ.
მინიმალური მისაღები საიჯარო გადასახდელები	47,363,525	78,731,700	126,095,225
გამოკლებული: გამოუმუშავებელი ფინანსური იჯარის შემოსავალი	(3,671,550)	(33,202,833)	(36,874,383)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	43,691,975	45,528,867	89,220,842
გამოკლებული ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების გაუფასურების ზარალი	(589,464)	(549,899)	(1,139,363)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება, წმინდა	43,102,511	44,978,968	88,081,479

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების კონცენტრაცია 5 უმსხვილეს საიჯარო ხელშეკრულებში შეადგენდა 9,180,109 ლარს (2018 წ.: 8,020,742 ლარი), რომელიც შეადგენს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი დებიტორული დავალიანების 7%-ს (2018 წ.: 9%), ხოლო მათგან მიღებულმა ფინანსური იჯარის შემოსავალმა შეადგინა 1,535,580 ლარი (2018 წ.: 1,015,708 ლარი), რაც წარმოადგენს ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მთლიანი დებიტორული დავალიანების 6%-ს (2018: 8%).

(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

ჯარიმები ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებაზე ძირითადად გადახდის ვადაგადაცილებისთვის ირიცხება. ჯგუფი ჯარიმებიდან შემოსავალს მხოლოდ მისი მიღებისას აღიარებს. 2019 წელს ჯგუფმა აღიარა შემოსავალი ჯარიმებიდან 2,058,800 ლარის (2018 წ.: 982,874 ლარი) ოდენობით.

იჯარის ვადის დასასრულს საიჯარო აქტივებზე საკუთრების უფლება მოიჯარეებს გადაეცემა. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის შემდეგ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები ჯგუფს გადაეხდება შემდეგ ვალუტებში:

	2019	2018
აშშ დოლარი	58,350,706	48,462,353
ევრო	13,923,448	13,309,439
ლარი	58,085,302	26,309,687
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება, წმინდა	130,359,456	88,081,479

აქტივების ტიპები, რომლებსაც 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი იჯარით გასცემს, შეიძლება შემდეგ კატეგორიებში გაერთიანდეს:

	2019		2018	
	თანხა	პროექტების რაოდენობა	თანხა	პროექტების რაოდენობა
სამშენებლო აღჭურვილობა	45,339,465	389	30,187,869	262
მსუბუქი ავტომობილები	57,319,166	4,198	35,377,297	2,543
ტრანსპორტი, მსუბუქი ავტომობილების გარდა	10,684,273	237	11,657,259	140
მანქანა-დანადგარები	17,016,552	138	10,859,054	97
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება, წმინდა	130,359,456	4,962	88,081,479	3,042

მოძრაობა ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ დებიტორულ დავალიანებაში და ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვში 2019 და 2018 წლისთვის ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში არის შემდეგი:

კორპორატიული პორტფელი	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (მოლიანი)			სულ 2019 წ.
	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	57,547,560	4,272,636	1,954,614	63,774,810
ახალი წარმოშობილი ან შექმნილი ფინანსური აქტივები	73,619,151	-	-	73,619,151
გადატანები პირველ ეტაპზე	13,446,141	(13,176,504)	(269,637)	-
გადატანები მეორე ეტაპზე	(31,678,342)	31,678,342	-	-
გადატანები მესამე ეტაპზე	(1,309,967)	(14,177,826)	15,487,793	-
დაფარული აქტივები	(36,279,035)	(2,302,008)	(3,745,759)	(42,326,802)
ჩამოწერები	-	-	(3,952,265)	(3,952,265)
სხვა მოძრაობები*	3,364,100	347,037	473,088	4,184,225
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	78,709,608	6,641,677	9,947,834	95,299,119

(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

<i>კორპორატიული პორტფელი</i>	<i>ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი</i>			<i>სულ 2019 წ.</i>
	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(410,565)	(28,324)	(276,533)	(715,422)
ახალი წარმოშობილი ან შემენილი ფინანსური აქტივები	(466,159)	-	-	(466,159)
გადატანები პირველ ეტაპზე	(110,922)	110,391	531	-
გადატანები მეორე ეტაპზე	665,363	(665,363)	-	-
გადატანები მესამე ეტაპზე	39,293	870,809	(910,102)	-
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და მოდელეზა და ამოსავალ მონაცემებში ცვლილებებზე.	(480,343)	(571,239)	(663,877)	(1,715,459)
დაფარული აქტივები	118,512	10,772	381,594	510,878
ჩამოწერები	-	-	706,309	706,309
სხვა მოძრაობები*	(26,540)	(12,263)	(47,272)	(86,075)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(671,361)	(285,217)	(809,350)	(1,765,928)

* სხვა მოძრაობები მოიცავს ვალუტის საკურსო სხვაობებს.

<i>სავაჭრო პორტფელი</i>	<i>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (მოლიანი)</i>			<i>სულ 2019 წ.</i>
	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	20,481,092	3,123,110	1,841,830	25,446,032
ახალი წარმოშობილი ან შემენილი ფინანსური აქტივები	43,324,219	-	-	43,324,219
გადატანები პირველ ეტაპზე	11,322,586	(10,547,450)	(775,136)	-
გადატანები მეორე ეტაპზე	(23,832,873)	24,672,171	(839,298)	-
გადატანები მესამე ეტაპზე	(4,563,769)	(12,254,216)	16,817,985	-
დაფარული აქტივები	(17,744,761)	(1,674,794)	(1,833,369)	(21,252,924)
ჩამოწერები	-	-	(10,436,316)	(10,436,316)
სხვა მოძრაობა	279,383	35,289	79,776	394,448
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	29,265,877	3,354,110	4,855,472	37,475,459

(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

<i>სავაჭრო პორტფელი</i>	<i>ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი</i>			<i>სულ 2019 წ.</i>
	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(220,127)	(77,845)	(125,969)	(423,941)
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	(369,313)	-	-	(369,313)
გადატანები პირველ ეტაპზე	(107,741)	100,917	6,824	-
გადატანები მეორე ეტაპზე	492,451	(506,517)	14,066	-
გადატანები მესამე ეტაპზე	272,224	736,802	(1,009,026)	-
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და მოდელეზსა და ამოსავალ მონაცემებში ცვლილებებზე.	(463,064)	(341,824)	(36,887)	(841,775)
დაფარული აქტივები	84,951	15,125	47,078	147,154
ჩამოწერები	-	-	843,718	843,718
სხვა მოძრაობები*	(1,320)	(533)	(3,184)	(5,037)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(311,939)	(73,875)	(263,380)	(649,194)

<i>კორპორატიული პორტფელი</i>	<i>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (მთლიანი)</i>			<i>სულ 2018 წ.</i>
	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	32,679,682	2,946,396	964,043	36,590,121
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	52,273,635	-	-	52,273,635
გადატანები პირველ ეტაპზე	15,545,926	(11,401,042)	(4,144,884)	-
გადატანები მეორე ეტაპზე	(18,620,166)	21,038,671	(2,418,505)	-
გადატანები მესამე ეტაპზე	(4,177,520)	(5,655,327)	9,832,847	-
დაფარული აქტივები	(21,030,568)	(2,774,844)	(590,304)	(24,395,716)
ჩამოწერები	-	-	(1,743,901)	(1,743,901)
სხვა მოძრაობები*	876,571	118,782	55,318	1,050,671
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	57,547,560	4,272,636	1,954,614	63,774,810

(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

<i>კორპორატიული პორტფელი</i>	<i>ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი</i>			<i>სულ 2018 წ.</i>
	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(96,463)	(44,735)	(139,280)	(280,478)
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	(222,782)	-	-	(222,782)
გადატანები პირველ ეტაპზე	(26,342)	22,781	3,561	-
გადატანები მეორე ეტაპზე	155,825	(167,028)	11,203	-
გადატანები მესამე ეტაპზე	95,252	238,785	(334,037)	-
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(316,477)	(80,171)	54,680	(341,968)
დაფარული აქტივები	3,969	2,724	345	7,038
ჩამოწერები	-	-	77,078	77,078
სხვა მოძრაობები*	(3,547)	(680)	49,917	45,690
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(410,565)	(28,324)	(276,533)	(715,422)

* სხვა მოძრაობები მოიცავს ვალუტის საკურსო სხვაობებს.

<i>სავაჭრო პორტფელი</i>	<i>ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (მოქლიანი)</i>			<i>სულ 2018 წ.</i>
	<i>პირველი ეტაპი</i>	<i>მეორე ეტაპი</i>	<i>მესამე ეტაპი</i>	
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	8,834,179	613,385	431,237	9,878,801
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი ფინანსური აქტივები	27,527,275	-	-	27,527,275
გადატანები პირველ ეტაპზე	7,047,061	(5,631,409)	(1,415,650)	-
გადატანები მეორე ეტაპზე	(12,780,595)	12,957,635	(177,040)	-
გადატანები მესამე ეტაპზე	(2,647,636)	(4,210,250)	6,857,886	-
დაფარული აქტივები	(7,773,657)	(647,955)	(350,163)	(8,771,775)
ჩამოწერები	-	-	(3,533,600)	(3,533,600)
სხვა მოძრაობა	274,465	41,704	29,162	345,331
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	20,481,092	3,123,110	1,841,830	25,446,032

(თანხები მოცემულია ლარში)

6. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სავაჭრო პორტფელი	ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი			სულ 2018 წ.
	პირველი ეტაპი	მეორე ეტაპი	მესამე ეტაპი	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(53,600)	(12,117)	(65,477)	(131,194)
ახალი წარმოშობილი ან შემენილი ფინანსური აქტივები	(127,497)	-	-	(127,497)
გადატანები პირველ ეტაპზე	(39,188)	33,511	5,677	-
გადატანები მეორე ეტაპზე	207,838	(210,643)	2,805	-
გადატანები მესამე ეტაპზე	116,583	234,127	(350,710)	-
პერიოდის განმავლობაში ეტაპებს შორის კრედიტის ოდენობის გადატანების გავლენა პერიოდის ბოლოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე	(335,537)	(124,758)	40,231	(420,064)
დაფარული აქტივები	14,210	3,006	20,157	37,373
ჩამოწერები	-	-	127,590	127,590
სხვა მოძრაობები*	(2,936)	(971)	93,758	89,851
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(220,127)	(77,845)	(125,969)	(423,941)

* სხვა მოძრაობები მოიცავს ვალუტის საკურსო სხვაობებს.

უზრუნველყოფის საგნის ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წმინდა ინვესტიციაზე მე-3 ეტაპის იჯარებში 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება უფრო მაღალი შემდეგი ოდენობით

	2019	2018
საცალო იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	3,011,957	896,391
კორპორატიულ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	2,338,235	412,753
სულ ფინანსური იჯარის გაუფასურების რეზერვი	5,350,192	1,309,144

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს მე-2 და მე-3 ეტაპის აქტივებს, რომლებიც პერიოდის განმავლობაში შეიცვალა, ჯგუფის მიერ გაწეული დაკავშირებული მოდიფიცირების ზარალით.

	2019	2018
პერიოდის განმავლობაში რესტრუქტურული იჯარები		
ამორტიზებული ღირებულება მოდიფიცაციამდე	8,524,399	13,572,490
წმინდა მოდიფიცირებული (ზარალი)/შემოსულობა	67,460	66,728
თავდაპირველი აღიარების შემდეგ რესტრუქტურული სესხები		
2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბერს იმ ფინანსური იჯარების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომლისთვისაც ზარალის რეზერვი შეიცვალა 12 თვის შეფასებადი პერიოდის განმავლობაში	266,362	58,376

(თანხები მოცემულია ლარში)

7. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები

	2019	2018
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები – დასაკუთრებული	6,597,143	2,670,940
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები – დასაკუთრებას დაქვემდებარებული	14,870,980	8,443,793
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	21,468,123	11,114,733

8. საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები

საიჯარო ოპერაციებისთვის შეძენილი აქტივები წარმოადგენს აქტივებს, რომლებიც შემდგომში მოიჯარეებს გადაეცემა. მიმწოდებლებზე გაცემული ავანსები საიჯარო ოპერაციებისთვის წარმოადგენს მიმწოდებლების მიმართ განხორციელებულ გადახდებს აქტივებისთვის, რომლებიც შემდგომში მოიჯარეებს გადაეცემა.

ჯგუფი ფინანსური რისკის წინაშე დგას საიჯარო მიზნებისთვის შეძენილ აქტივებთან და მიმწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით საიჯარო ოპერაციებისთვის, რადგან ეს აქტივები წარმოადგენს ანგარიშსწორების პირველ ეტაპს საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ხორციელდება.

	2019	2018
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	13,820,350	6,111,981
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	13,820,350	6,111,981

ანალიზი მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების საკრედიტო ხარისხის მიხედვით 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	2019	2018
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული	9,020,197	6,111,981
ვადაგადაცილებული		
- 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	3,294,386	-
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	1,453,524	-
- 181-დან 365 დღემდე ვადაგადაცილება	52,243	-
სულ ვადაგადაცილება	4,800,153	-
სულ საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	13,820,350	6,111,981

9. გადასახადები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 27 დეკემბერს ბანკებისთვის ცვლილების ეფექტური თარიღი 2023 წლის 1 იანვრით შეიცვალა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2019 წელს ჯგუფს არ უღიარებია მოგების გადასახადის ხარჯი 21,673 ლარის (2018 წ.: 53,856 ლარი) ოდენობით, იმ დანახარჯებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობებს.

(თანხები მოცემულია ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	აქტივების გამოყენების უფლება	სულ
თვითღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბერს	64,079	440,413	111,227	–	615,719
შესყიდვები	47,212	190,099	230,300	–	467,611
2018 წლის 31 დეკემბერს	111,291	630,512	341,527	–	1,083,330
შესყიდვები	28,197	141,264	124,508	–	293,969
გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების აღიარება	–	–	–	1,023,169	1,023,169
რეკლასიფიკაცია	–	–	(213,800)	–	(213,800)
2019 წლის 31 დეკემბერს	139,488	771,776	252,235	1,023,169	2,186,668
ცვეთა					
2017 წლის 31 დეკემბერს	44,928	148,888	9,320	–	203,136
ცვეთის დანარიცხი	25,658	62,864	41,996	–	130,518
2018 წლის 31 დეკემბერს	70,586	211,752	51,316	–	333,654
ცვეთის დანარიცხი	30,873	206,643	48,512	337,535	623,563
რეკლასიფიკაცია	–	–	(21,564)	–	(21,564)
2019 წლის 31 დეკემბერს	101,459	418,395	78,264	337,535	935,653
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერს	40,705	418,760	290,211	–	749,676
2019 წლის 31 დეკემბერს	38,029	353,381	173,971	685,634	1,251,015

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სამწლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

11. სხვა აქტივები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სხვა ფინანსური აქტივები		
ადმინისტრაციული ჯარიმები	373,496	143,566
ვადაგადაცილებული საიჯარო გადასახადების დღგ-ის ნაწილი	322,758	141,076
მისაღები საკომისიო	211,607	97,422
აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანება	163,423	930,605
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	–	31,819
სხვა	192,058	48,368
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(172,325)	(92,930)
სულ ფინანსური აქტივები	1,091,017	1,299,925
სხვა არაფინანსური აქტივები		
არამატერიალური აქტივები	277,852	250,887
	1,368,869	1,550,813

(თანხები მოცემულია ლარში)

11. სხვა აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს სასრული ვადა აქვს და ამორტიზდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით 10 წლიან სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 569,065 ლარს (2018 წ.: 489,115 ლარი) შეადგენს. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დაგროვილი ამორტიზაცია 291,213 ლარია (2018 წ.: 238,228 ლარი). 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის დარიცხული ამორტიზაცია 52,985 ლარს (2018 წ.: 37,285) შეადგენდა

ფინანსური აქტივების კლასიფიცირებულია პირველი ეტაპის სახით. ეტაპები აღწერილია მე-18 შენიშვნაში. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვების ცვლილების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(92,930)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა	(79,395)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>(172,325)</u>

12. სასესხო კრედიტორული დავალიანება

	<u>2019</u>	<u>2018</u>
ვალდებულებები ადგილობრივი ბანკების მიმართ	86,170,329	55,291,502

ადგილობრივი ბანკების მიმართ ვალდებულებები 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად მოიცავს მფლობელისგან და სხვა ადგილობრივი ბანკებისგან. ადგილობრივი ბანკების მიმართ არსებულ თანხებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება საპროცენტო 4.60%-დან 13.00%-მდე განაკვეთი (2018 წ.: 5.20%-დან 13.00%-მდე) და მათი დარჩენილი დაფარვის პერიოდია 49-დან 916 დღემდე (2018 წ.: 182-დან 1,281 დღემდე).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი ბანკების მიმართ ვალდებულებები უზრუნველყოფილია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებით, რომელთა საბალანსო ღირებულებაც 132,774,578 ლარია (2018 წ.: 89,220,842 ლარი).

13. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	<u>2019</u>	<u>2018</u>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	72,538,704	36,940,653

2019 წლის აგვისტოში ჯგუფმა საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოუშვა 10,000,000 აშშ დოლარის ორწლიანი ობლიგაციები, რომლებიც სრულად გაიყიდა 2019 წელს. ახალი ობლიგაციების გამოშვება მოხდა 1,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური ფიქსირებული კუპონის განაკვეთი იყო 7.5%.

2018 წლის ივნისში ჯგუფმა საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოუშვა 5,000,000 აშშ დოლარის სამწლიანი ობლიგაციები, რომლიდანაც 2018 წელს მხოლოდ 3,701,000 დოლარის, ხოლო 2019 წელს 1,232,000 აშშ დოლარის ობლიგაცია გაიყიდა. ეს ობლიგაციების გამოშვება მოხდა 1,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური ფიქსირებული კუპონის განაკვეთი იყო 6.5%.

(თანხები მოცემულია ლარში)

14. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2019 წლის 1 იანვარი	მიღებული სახსრები	სესხის დაფარვა	სავალუტო კურსის მოძრაობა	სხვა	2019 წლის 31 დეკემბერი
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა)	55,291,502	91,694,673	(63,018,934)	1,893,397	309,691	86,170,329
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	36,940,653	32,409,020	-	2,078,516	1,110,515	72,538,704
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები	92,232,155	124,103,693	(63,018,934)	3,971,913	1,420,206	158,709,033

	2018 წლის 1 იანვარი	მიღებული სახსრები	სესხის დაფარვა	სავალუტო კურსის მოძრაობა	სხვა	2018 წლის 31 დეკემბერი
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გარდა ქვემოთ ჩამოთვლილისა)	20,178,770	51,302,540	(17,357,517)	1,034,574	133,135	55,291,502
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,150,848	8,967,898	-	1,653,259	168,648	36,940,653
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები	46,329,618	60,270,438	(17,357,517)	2,687,833	301,783	92,232,155

მუხლი სახელწოდებით „სხვა“ შეიცავს სხვა ნასესხებ სახსრებზე და გამომწვეულ სასესხო ფასიან ქაღალდებზე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის ეფექტს.

15. საკუთარი კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს საწესდებო კაპიტალში ჯამში 3,180,000 ლარით ჰქონდა შევსებული.

2019 და 2018 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი გამოიყენება თანამშრომლებზე, მათ შორის ხელმძღვანელობის ზედა რგოლზე, ანაზღაურების სახით გაცემული წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდების აღიარებისთვის. ამ სქემის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ 22-ე შენიშვნა.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კაპიტალს იმ დონეზე შენარჩუნება, რომ დააკმაყოფილოს კრედიტორების ყველა პირობა და შეინარჩუნოს ძლიერი საკრედიტო რეიტინგი და კაპიტალის ჯანსაღი კოეფიციენტები თავისი ბიზნესის მხარდაჭერისა და მონაწილეთა ღირებულების მაქსიმიზაციისთვის;
- ▶ უზრუნველყოს ჯგუფის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, რომ მან გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა.

(თანხები მოცემულია ლარში)

15. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა (გაგრძელება)

ამ მიზნების მისაღწევად ჯგუფი ატარებს მნიშვნელოვანი პოტენციური საიჯარო პროექტების დეტალურ ანალიზს და ამისათვის აწესებს კლიენტებისგან პირველადი შენატანის ინდივიდუალურ მინიმალურ მოთხოვნას და ამოწმებს საკრედიტო რეიტინგს.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

16. სხვა შემოსავალი

	2019	2018
სადაზღვევო კომპენსაცია	330,079	294,187
დაზღვევიდან მიღებული საკომისიო	297,893	285,966
შემოსავალი ვადაზე ადრე გამოსყიდვის საკომისიოდან	314,415	145,007
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	66,393	34,518
სხვა	66,101	187,728
	1,074,881	947,406

17. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
სადაზღვევო ხარჯები	5,114,737	3,079,398
საოპერაციო გადასახადი მოგების გადასახადის გარდა	1,531,351	1,251,961
იურიდიული და პროფესიული მომსახურება*	1,126,281	866,554
სარეკლამო მომსახურება	1,105,116	641,411
ცვითის და ამორტიზაციის ხარჯები	676,588	167,803
დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა	385,037	34,566
საიჯარო ხარჯი	357,958	326,019
მგზავრობის ხარჯები	92,079	59,920
საბანკო მომსახურება	32,446	23,753
შეკეთების ხარჯები	24,791	10,561
GPS-ის ხარჯები	17,849	29,802
აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ზარალი	-	224,698
სხვა	589,281	383,362
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	11,053,514	7,099,809

ჯგუფის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2019 და 2018 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღგ-ის გარეშე):

	2019	2018
გასამრჯელო ჯგუფის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის	166,668	147,213
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	7,555	11,509
სულ გასამრჯელო და დანახარჯები	174,223	158,722

(თანხები მოცემულია ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტები ძირითადად შედგება ფულადი სახსრებისგან, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებისგან, ასევე სასესხო კრედიტორული დავალიანებისა და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ჯგუფს აქვს საკრედიტო ლიკვიდურობის, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება.

ჯგუფი ფლობს უზრუნველყოფას იჯარებში წმინდა ინვესტიციებზე და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე. ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება ფინანსური იჯარის და სასესხო ხელშეკრულების გაფორმების დროს შეფასებულ ღირებულებას და ისინი ზოგადად არ განახლდება.

გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის მიღებამ ფუნდამენტალურად შეცვალა ჯგუფის მიერ იჯარის გაუფასურების აღრიცხვა, ბასს (IAS) 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. 2018 წლის 1 იანვრიდან ჯგუფი აღრიცხავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს იჯარასთან დაკავშირებული ყველა დებიტორული დავალიანების და იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ფლობაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ჯგუფმა მიიღო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოთ ხსენებული პროცესის საფუძველზე, ჯგუფმა მისი ფინანსური აქტივები პირველ, მეორე და მესამე ეტაპებში გააერთიანა, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი:

- | | |
|---------------|--|
| პირველი ეტაპი | როდესაც ფინანსური აქტივები პირველად აღიარდება, ჯგუფი რეზერვს აღიარებს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. პირველი ეტაპის ფინანსური აქტივები ასევე მოიცავს ობიექტებს, სადაც საკრედიტო რისკი შემცირდა, ხოლო ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია მეორე ეტაპიდან. |
| მეორე ეტაპი | როდესაც ფინანსური აქტივი ავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას წარმოშობის თარიღის შემდეგ, ჯგუფი აღრიცხავს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის ფინანსური აქტივები ასევე მოიცავს ობიექტებს, რომელშიც საკრედიტო რისკი შემცირდა, ხოლო ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან. |
| მესამე ეტაპი | ფინანსური აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა. ჯგუფი აღრიცხავს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. |

(თანხები მოცემულია ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტს დეფოლტირებულად მიიჩნევს და შესაბამისად მას მესამე ეტაპში აღრიცხავს (გაუფასურებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის, კორპორატიული საიჯარო პორტფელის და საცალო საიჯარო პორტფელის შემთხვევაში, როცა მსესხებელს ექნება 90- და 30-დღიანი ვადაგადაცილება (შესაბამისად), კონტრაქტთან სახელშეკრულებო გადახდებზე, სულ მცირე ერთი ოპერაციისთვის, ან როდესაც არსებობს გაუფასურების სხვა მაჩვენებლები.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს კოლექტიურ საფუძველზე, ფინანსური აქტივის ყველა კლასისთვის, რომლებსაც ის აჯგუფებს ერთგვაროვანულ პორტფელებად, აქტივების შიდა და გარე მახასიათებლების კომბინაციის საფუძველზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვანი ელემენტები მოცემულია ქვემოთ:

PD	დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს დეფოლტის წარმოშობის ალბათობის შეფასებით მოცემული დროითი ინტერვალის განმავლობაში და ის განისაზღვრება რისკ-სეგმენტის და ვადაგადაცილების ჯგუფის საფუძველზე, შესაბამისი პერიოდისთვის (ინსტრუმენტის 12 თვეში ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი დეფოლტის ალბათობა). მაჩვენებლები განისაზღვრება შიდა სტატისტიკის საფუძველზე, მიგრაციის მატრიცის გამოყენებით). მაკროეკონომიკურ ვითარებაში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები გამოიყენება საპროგნოზო ინფორმაციის სახით. დეფოლტი შეიძლება დადგეს შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში, თუ ფინანსური აქტივის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
EAD	რისკს ქვეშ მყოფი აქტივების თანხა წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკის შეფასებას.
LGD	დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის იმ წარმოშობილი ზარალის დონე, რომელიც წარმოიქმნება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას (დისკონტირებული ექვექტური საპროცენტო განაკვეთით). დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლებსაც ჯგუფი იღებს და რომლის მიღებასაც მოელოს, აქტივის სარეალიზაციო ხარჯის გათვალისწინებით. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ღირებულება განისაზღვრება შიდა სტატისტიკების საფუძველზე შემუშავებული მოდელების გამოყენებით.

ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს სამი მაკროეკონომიკური სცენარის საფუძველზე (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური), რომელიც ალბათობით იწონება თითოეული სცენარი განისაზღვრება შეწონილ საფუძველზე, სტატისტიკური ანალიზის და საექსპერტო მსჯელობის კომბინაციის საფუძველზე, რომელიც ეხება სცენარებით წარმოდგენილი შესაძლოა შედეგების დიაპაზონთან მიმართებაში. მიდინარე მონაცემები და მოსალოდნელი ცვლილებები მაკროეკონომიკურ ცვლადებში გამოიყენება საპროგნოზო ინფორმაციის სახით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისეულ მაკროეკონომიკურ მოდელში, ჯგუფი ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციას.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, რომლებიც სარეიტინგო სააგენტო „Fitch Ratings“-ის მიერ ‘BB-’ რეიტინგით შეფასებულ ბანკშია განთავსებული;
- ▶ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი.

(თანხები მოცემულია ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხი ჯგუფის მიერ იმართება საკრედიტო ხარისხის ჯგუფების მეშვეობით. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხი მათი კლასების მიხედვით, ჯგუფის საკრედიტო ხარისხის ჯგუფების სისტემაზე დაყრდნობით.

შენიშვნა	მალალი შეფასება 2019	სტანდარტი შეფასება 2019	სტანდარტულზე		სულ 2019	
			დაბალი შეფასება 2019	გაუფასურებული 2019		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	1-ლი ეტაპი	21,280,992	-	-	-	21,280,992
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება						
- კორპორაციული იჯარები	1-ლი ეტაპი	53,396,395	10,281,317	14,360,535	-	78,038,247
	მე-2 ეტაპი	-	1,191,606	5,164,854	-	6,356,460
	მე-3 ეტაპი	-	-	-	9,138,484	9,138,484
- კომერციული ფართების იჯარა	1-ლი ეტაპი	12,838,923	8,980,147	7,134,868	-	28,953,938
	მე-2 ეტაპი	-	28,091	3,252,144	-	3,280,235
	მე-3 ეტაპი	-	-	-	4,592,092	4,592,092

შენიშვნა	მალალი შეფასება 2018	სტანდარტი შეფასება 2018	სტანდარტულზე		სულ 2018	
			დაბალი შეფასება 2018	გაუფასურებული 2018		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	1-ლი ეტაპი	3,541,548	-	-	-	3,541,548
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	1-ლი ეტაპი	2,793,791	-	-	-	2,793,791
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება						
- კორპორაციული იჯარები	1-ლი ეტაპი	39,272,099	10,844,451	7,020,445	-	57,136,995
	მე-2 ეტაპი	-	2,594,682	1,649,630	-	4,244,312
	მე-3 ეტაპი	-	-	-	1,678,081	1,678,081
- კომერციული ფართების იჯარა	1-ლი ეტაპი	10,497,253	5,585,491	4,178,221	-	20,260,965
	მე-2 ეტაპი	-	164,476	2,880,789	-	3,045,265
	მე-3 ეტაპი	-	-	-	1,715,861	1,715,861

ჯგუფმა საიჯარო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებით განსაზღვრა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა, შემდეგი სახით: ფინანსური აქტივი ფასდება ფინანსურ აქტივად მალალი საფეხურით:

- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღე აქვს, 300 დღეზე ნაკლები განვლილი 12 თვის განმავლობაში;
- ▶ საცალო პორტფელისთვის, თუ ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებული არ ყოფილა განვლილი 12 თვის განმავლობაში.

(თანხები მოცემულია ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი ფასდება ფინანსურ აქტივად სტანდარტული საფეხურით:

- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს 30 დღეზე მეტი და 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული დღე აქვს განვლილი 12 თვის განმავლობაში;
- ▶ საცალო პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღე აქვს, 10 დღეზე ნაკლები განვლილი 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური აქტივი ფასდება ფინანსური აქტივის სახით სტანდარტს ზემოთ საფეხურით:

- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს 60 დღეზე მეტი და 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებული დღე აქვს განვლილი 12 თვის განმავლობაში;
- ▶ კორპორატიული პორტფელისთვის, თუ ფინანსურ აქტივს მაქსიმალური ვადაგადაცილებული დღე აქვს, 10 დღეზე მეტი და 30 დღეზე ნაკლები ოდენობით განვლილი 12 თვის განმავლობაში.

ჯგუფის პოლიტიკა ითვალისწინებს საიჯარო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილი მთლიანი ნომინალური გადინება წარმოადგენს ფინანსური დავალიანების სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ დაფარვის ვალდებულებას. ფაქტობრივი ფულადი ნაკადები ამ ფინანსურ ვალდებულებებზე შეიძლება ამ ანალიზისგან განსხვავდებოდეს.

ფინანსური ვალდებულებები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
საიჯარო ვალდებულება	99,461	257,610	469,879	–	826,950
სასესხო კრედიტორული დავალიანება	10,100,041	66,149,405	16,842,811	–	93,092,257
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	2,107,170	31,669,900	45,444,421	–	79,221,491
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	12,306,672	98,076,915	62,757,111	–	173,140,698

ფინანსური ვალდებულებები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სასესხო კრედიტორული დავალიანება	3,024,851	30,343,797	27,485,207	–	60,853,855
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	944,510	1,571,242	39,526,079	–	42,041,831
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	3,969,361	31,915,039	67,011,286	–	102,895,686

(თანხები მოცემულია ლარში)

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებში გამოხატულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე პროგნოზირებულ ფულად ნაკადებზე ჯგუფს 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი აქვს. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

<i>ვალუტა</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის გამყარება შესაბამის</i>		<i>ლარის გაცვლითი კურსის გამყარება შესაბამის</i>	
	<i>ვალუტასთან მიმართებაში, % 2019</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2019</i>	<i>ვალუტასთან მიმართებაში, % 2018</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2018</i>
ევრო	11.00%	(250,449)	11.00%	(34,650)
აშშ დოლარი	10.00%	(960,126)	11.00%	(11,990)

<i>ვალუტა</i>	<i>ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება შესაბამის</i>		<i>ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება შესაბამის</i>	
	<i>ვალუტასთან მიმართებაში, % 2019</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2019</i>	<i>ვალუტასთან მიმართებაში, % 2018</i>	<i>ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2018</i>
ევრო	-6.00%	136,608	-11.00%	34,650
აშშ დოლარი	-5.00%	480,063	-11.00%	11,990

(თანხები მოცემულია ლარში)

20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	2019		2018	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები*	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული პირები*
საიჯარო მიწისფლების ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	676,777	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებიდან	283,004	-	118,872	-
საიჯარო ხარჯი	-	-	58,447	-
სასესხო კრედიტორული დავალიანება 1 იანვრის მდგომარეობით	17,221,819	-	14,799,862	-
წლის განმავლობაში მიღებული სესხები	12,140,017	-	15,217,056	-
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	(13,721,907)	-	(12,805,048)	-
სხვა მოძრაობა / სხვა დანარიცხები/(გადახდები)	(23,042)	-	9,949	-
სასესხო კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,616,887	-	17,221,819	-
სასესხო კრედიტორული დავალიანების საპროცენტო ხარჯი	1,915,254	-	1,391,578	-
1 იანვრისთვის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	466,890	-	1,395,866
წლის განმავლობაში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	1,806,622	-	331,182
წლის განმავლობაში შესყიდული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	(377,198)	-	(1,566,067)
სხვა მოძრაობა	-	1,544,398	-	305,909
31 დეკემბრისთვის გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	3,440,712	-	466,890
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	-	183,919	-	29,200
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	185,423
წლის განმავლობაში წარმოშობილი	-	-	-	-
წლის განმავლობაში დაფარული	-	-	-	(185,423)
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8,692,304	-	3,540,825	-

* საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებში „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ წევრებიც შედიან.

(თანხები მოცემულია ლარში)

20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

უმალესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება (კომპანიის გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე) ასე გამოიყურება:

	<i>2019 წლის 31 დეკემბერი</i>	<i>2018 წლის 31 დეკემბერი</i>
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	417,313	250,760
წილობრივი ანაზღაურება (22-ე შენიშვნა)	157,980	135,212
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	575,293	385,972

21. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივების და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით:

	<i>სამართლიანი ღირებულების შეფასება:</i>					
	<i>აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)</i>	<i>მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)</i>	<i>სულ</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>აუღიარებელი მოგება/ (ზარალი)</i>
2019 წლის 31 დეკემბერს						
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	21,280,992	-	21,280,992	21,280,992	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-	127,430,071	127,430,071	130,359,456	(2,929,385)
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
საიჯარო ვალდებულება	-	-	736,253	736,253	736,253	-
სასესხო კრედიტორული დავალიანება	-	-	86,170,329	86,170,329	86,170,329	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	72,582,252	-	72,582,252	72,538,704	43,548

(თანხები მოცემულია ლარში)

21. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			სულ	საბალანსო ღირებულება	აუღიარებელი მოგება/ (ზარალი)
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)			
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
საინვესტიციო ქონება	-	-	2,754,221	2,754,221	2,754,221	-
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	6,335,339	-	6,335,339	6,335,339	-
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-	89,571,604	89,571,604	88,081,479	1,490,125
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
სასესხო კრედიტორული დავალიანება	-	-	55,291,502	55,291,502	55,291,502	-
გამომწვეული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	36,985,970	-	36,985,970	36,940,653	45,317

31 დეკემბრით დასრულებული 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ხელახლა შეფასდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. გარე შემფასებლის დაქირავება ყოველწლიურად წყდება ხელმღვანელობის მიერ ბაზარზე ცნობადობის, რეპუტაციის, მიუკერძოებლობისა და პროფესიული სტანდარტების დაცვის მიხედვით. გამოყენებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებული შეფასების მოდელები და შეფასება შეესაბამება ფასს (IFRS) 13-ის პრინციპებს.

2019 წლის სექტემბერში საინვესტიციო ქონება გაიყიდა და საბოლოო ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს ნული იყო (2018 წ.: 2,754,221 ლარი).

(თანხები მოცემულია ლარში)

21. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია შეფასების მეთოდები და შეფასებისთვის მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემების აღწერა და მგრძობელობა ამ მონაცემების შესაძლო, გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი, ცვლილებების მიმართ:

საინვესტიციო ქონების კლასი	2018	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი არასაზოგადოებრივი მონაცემები	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი), ლარი	ტიპი	მთლიანი ფართობი, კვადრატული მეტრებით	მონაცემების მგრძობელობა სამართლიანი ღირებულების მიმართ, ლარი
საოფისე შენობა	2,754,221	საბაზრო შედარებადი მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	4,553-4,730 (4,641)	მიწა შენობა- ნაგებობები	226 369	1 კვ.მ.-ის იჯარის 10%-ით ზრდა (შემცირება) გამოიწვევს სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 275,422

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიანი ღირებულებას. ეს დაშვება ასევე ვრცელდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სასესხო კრედიტორულ დავალიანებაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

22. წილობრივი გადახდა

2019 წლის მაისში, სს „ბიჯი ფინანშიალის“ დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სალიზინგო კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა და მისმა მოადგილემ მიიღეს „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ 2,750 (2018 წ.: 1,200) ჩვეულებრივი აქცია. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2019 წლის 29 მაისი. ჯგუფის შეფასებით, გადაცემული ერთი აქციის სამართლიანი ღირებულება 17.48 ფუნტ სტერლინგი იყო (2018 წ.: 35.06 ფუნტ სტერლინგი).

გადაცემულ აქციებზე მოქმედებს უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა, რომლის ერთადერთი პირობაც ამ ხნის განმავლობაში ჯგუფში უწყვეტი დასაქმებაა. ჯგუფმა თავისი ვალდებულება დაფარა ფულადი სახსრების გადარიცხვით სს „გალტ ენდ თაგარტის“ ანგარიშზე აქციების შესყიდვისა და გაყინვის მიზნით უფლების გადაცემის პირობების შესაბამისად.

ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული წილობრივი გადახდის დანარიცხი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 173,254 ლარს (2018 წ.: 146,381 ლარი), საიდანაც 157,980 ლარი აღიარებულია, როგორც ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა რეზერვი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (2018 წ.: 135,212 ლარი).

(თანხები მოცემულია ლარში)

23. საინვესტიციო ქონება

	<u>2019</u>	<u>2018</u>
საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	2,754,221	2,745,140
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	–	18,546
საინვესტიციო ქონების გასხვისება	(2,754,221)	(9,465)
საბოლოო ნაშთი	<u>–</u>	<u>2,754,221</u>

2019 წლის სექტემბერში, საინვესტიციო ქონება გაიყიდა ოპერაციაზე რაიმე სახის შემოსულობის ან ზარალის აღიარების გარეშე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების სამართლიანი ღირებულებები ეყრდნობა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ჩატარებულ შეფასებას. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების იერარქიის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

24. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). 2019 წლის 31 დეკემბერს ამ მოვლენის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. თუმცა, კორონავირუსის მსოფლიო საგანგებო მდგომარეობად გამოცხადება არ მომხდარა 2020 წლის 31 იანვრამდე, რადგან მის მნიშვნელოვან განვითარებას და გავრცელებას 2020 წლის იანვრამდე ადგილი არ ჰქონია.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სწრაფად გავრცელებადი კორონავირუსის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა.

ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, საქართველოს მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ეკონომიკური საქმიანობა მრავალი სექტორისთვის. პანდემიის ეფექტები დროთ განმავლობაში განვითარდა. ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში COVID-19-ის ეფექტის მასშტაბების ზუსტად განსაზღვრა. მოსალოდნელია, რომ ყველაზე არსებით ეფექტი გაზრდის საკრედიტო ზარალს, ოჯარის პორტფელის გაუფასურების გამო, რაც გამოწვეული იქნება მომხმარებლების შემცირებული გადახდისუნარიანობით.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2020 წლის 30 ივნისს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.